დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
შპს „აკადემოსი“

შეფასების თარიღ(ებ)ი 19.05.2022 – 20.05.2022წწ
დასკვნის წარდგენის თარიღი 15.06.2022 წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	**შპს „აკადემოსი“**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**შპს**
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	ს/კ 202061295

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✔
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✔
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✔
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**ქალაქი თბილისი**
იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, დიღმის მასივი, გ. ტერევერკოს 24
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, დიღმის მასივი, გ. ტერევერკოს 24
საფოსტო ინდექსი	0159

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დაწესებულების ვებ-გვერდი	https://Akademos.ge/
დაწესებულების ელ-ფოსტა	skolaakademos@mes.gov.ge
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	032 2522345
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	**თამარ ჩანტლაძე**
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	+995 551 109 944
ელ-ფოსტა	skolaakademos@gmail.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 12/04/2022 წლის ბრძანება MES 5 22 0000376118
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	19.05.2022 – 20.05.2022 წწ
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ხათუნა ბარაბაძე
წევრი (სახელი, გვარი)	გულნარა ხაბურზანია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		**ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი**	**სტანდარტი დაკმაყოფილებულია**	**სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული**
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის			
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით			
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით			
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად			
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი 3. ე)**	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების,	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები			
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა			
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	***საგანმანათლებლო პროგრამები***	***ხარვეზი***
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.2.*	.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	***საგანმანათლებლო პროგრამები***	***რეკომენდაცია***
ქვესტანდარტი		
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი		
სტანდარტი		

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	**შპს „აკადემოსი“ ატარებს საგრანტო კონკურსებს და გამარჯვებულ მოსწავლეებს აძლევს 50, 70 და 100% გრანტს, იმ შემთხვევაში, თუ ეს მოსწავლეები გამოთქვამენ მათ სკოლაში სწავლის გაგრძელების სურვილს. ასევე აქვს საგადასახადო შეღავათი ორ და მეტ დედმამიშვილზე.** **სკოლას აქვს საერთაშორისო პროექტებსა და კონკურსებში მონაწილეობის მიღების მრავალწლიანი გამოცდილება. სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ გაეროს მოდელირების საერთაშორისო კონფერენციაში (აშშ);**

დაწესებულების მისია	შპს ,,აკადემოსის“ მიზანია, მისცეს მოსწავლეებს მაღალი ხარისხის განათლება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე, აღზარდოს ისინი ეროვნული ღირებულებების მატარებელ ტოლერანტ, კანონმორჩილ, ქვეყნის ინტერესების დამცველ პიროვნებებად. გამოუმუშავოს მათ ისეთი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებითაც ისინი შეძლებენ თანამედროვე კონკურენტუნარიან გარემოში საკუთარი თავის დამკვიდრებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 188	**ექსპერტი ეთანხმება** ☒	***აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)***
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,აკადემოსი“ სასწავლო პროცესს ახორციელებს შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად სამივე საფეხურზე. შპს ,,აკადემოსის'' 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე და ემსახურება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და სკოლის მისიის მიღწევას. 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო გეგმა დამტკიცებულია შპს ,,აკადემოსის“ სკოლის დირექტორის მიერ 2021 წლის 3 სექტემბრის N2-57-21 ბრძანებით. სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილებია: ➢ სკოლის მისია; ➢ შესავალი; ➢ განვლილი სასწავლო წლის შედეგების ანალიზი და შეფასება; ➢ სასკოლო სასწავლო გეგმის სტრუქტურა; ➢ მისია საფეხურების მიხედვით. სწავლა-სწავლების მიზნები და საგანმანათლებლო პრინციპები; ➢ პრიორიტეტული თემები და სასკოლო საგანმანათლებლო აქტივობები; ➢ სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები; ➢ განათლების ენები და ენობრივი განათლება; ➢ ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები; ➢ საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება; ➢ მოსწავლეთა რაოდენობა კლასებში და კლას-კოპლექტი; ➢ სკოლის საერთო კულტურა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	➢ დამრიგებელი; ➢ საგნობრივი კათედრები; ➢ საათობრივი ბადე; ➢ მოსწავლის შეფასების სისტემა; ➢ კლასის და საფეხურის დაძლევა; ➢ გამოცდის ტიპები; ➢ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების აღიარება; ➢ გაცდენები; ➢ შინსწავლება; ➢ ინკლუზიური განათლება; ➢ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე; ➢ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა; ➢ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი; ➢ სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები; ➢ სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება; ➢ უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების თავსებადობის დადგენის საკითხები; ➢ დისტანციური სწავლება; ➢ დისტანციური სწავლების მონიტორინგი; ➢ სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობის წესი. სასკოლო გეგმით განსაზღვრულია სასწავლო პროცესის ორგანიზების წესები და პირობები როგორც დასწრებითი, ასევე ონლაინ სწავლების დროს. სასწავლო წელი მოიცავს ორ სემესტრს, სემესტრის დაწყება-დამთავრება და არდადეგების ხანგრძლივობა განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად. უქმე დღეების რაოდენობა შეესაბამება საქართველოში მოქმედი შრომის კოდექსის 30-ე მუხლს. **საათობრივი ბადე** აზუსტებს სწავლების სამივე საფეხურზე თითოეული კლასის ყოველდღიური გაკვეთილების განრიგს, დღეებისა და დროის მიხედვით საგნის მასწავლებლის ვინაობის მითითებით, გაკვეთილების დაწყება-დამთავრების და გაკვეთილებს შორის დასვენების ხანგრძლივობას; საათობრივ ბადეში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო და არჩევითი საგნები. 2021-2022 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს უცხოური ენების სწავლებას ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებული სქემით, რომლის თანახმად პირველი უცხოური ენა (ინგლისური ენა) ისწავლება I-XII კლასებში, ამასთანავე პირველი კლასის პირველივე სემესტრიდან ინგლისურ ენას ეთმობა 2 სთ, ხოლო მეორე სემესტრიდან - 3 სთ; მეორე კლასში ემატება ესგ-გან განსხვავებით კიდევ 1 სთ. მე-8-12 კლასებში დამატებულია 1სთ. მეორე უცხოურ ენად სკოლა II-XII კლასებში მოსწავლეებს ასარჩევად სთავაზობს რუსულ და ფრანგულ ენებს. ამ ეტაპზე მეორე ენად ყველა კლასში არჩეულია რუსული ენა. ფიზიკური აღზრდას I-IV კლასების მეორე სემესტრში აკლდება 1 სთ; მათემატიკას მე-6კლასში ემატება 1 სთ. სკოლა არჩევით საგნად მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგ საგნებს: მითოლოგია და ფოლკლორი (Xკლ), მე-19/20 საუკუნეების დასავლური ლიტერატურა (XIკლ), სამედიცინო ბიოლოგია (XIIკლ). სკოლაში ჭადრაკი ისწავლება როგორც სავალდებულო საგანი I, II, III, IV, X, XI, XII კლასების მეორე სემესტრში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დისტანციური სწავლების საათობრივ ბადის მიხედვით, მეორე უცხოური ენის სწავლება ხორციელდება მეორე კლასიდან, მაშინ როცა დასწრებით სწავლების საათობრივ ბადეში პირველი კლასის მეორე სემესტრიდან. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ეს იყო ტექნიკური შეცდომა, რომელიც ექსპერტთა ვიზიტის დასრულებამდე დაწესებულებამ დააკორექტირა. რეალურად მეორე უცხოური ენა ისწავლება მეორე კლასიდან. ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საათობრივი ბადის მიღმა სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს ენობრივი კომპეტენციების ამაღლებას, სამოქალაქო ცნობიერების და დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებას. შესაბამისად სკოლა მოსწავლეებს **დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებაში** სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ საგანმანათლებლო მომსახურებას: ხატვის და მითოლოგიის წრეს, ჭადრაკის წრეს; გახანგრძლივებულის წრეს, ინგლისურის წრეს, რუსულის წრეს, მათემატიკის წრე, ლიტერატურულ სალონს. დამატებით საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მომსახურებას აქვს ფაკულტატური სახე. დამატებითი მომსახურების შეთავაზება მოხდა სკოლის მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. აგრეთვე გათვალისწინებულია მშობელთა ინტერესებიც. თითოეული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებისთვის შემუშავებულია სამუშაო გეგმა (სწავლების მიზანი, საჭირო საათების რაოდენობა, შეფასების ფორმა, საჭირო რესურსების ჩამონათვალი). მოსწავლის აკადემიური მოსწრების **შეფასების პრინციპები** მოიცავს დაწესებულებაში დანერგილ შეფასების მიდგომებს, კერძოდ: V კლასის მეორე სემესტრის, VI კლასის და საბაზო-საშუალო საფეხურების თითოეული საგნისათვის განსაზღვრავს სემესტრების მიხედვით ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას, მოსწავლის მიერ გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესსა და პროცედურას (აღდგენის ვადა და მისი ჩატარების ფორმა), განსაზღვრავს საფეხურის დაძლევისა და კლასიდან კლასში გადასაყვან მინიმალურ ბარიერს. სსგ-ში გაწერილია საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი, მათ შორის გრიფირებული სახელმძღვანელოები დანართის სახით. განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, წარმოდგენილია ინკლუზიური განათლების პროგრამა და სადამრიგებლო პროგრამის ზოგადი პრინციპები. სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტების დაძლევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ,,აკადემოსის“ სკოლის დირექტორის 2021 წლის 3 სექტემბრის ბრძანებით N2-57-21 დამტკიცებული 2021-2022 სასკოლო სასწავლო გეგმა; • სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში ფუნქციონირებს საგნის/საგნობრივი ჯგუფის შემდეგი კათედრები: • სახელმწიფო ენის კათედრა; • მათემატიკისა და ისტ-ის კათედრა; • საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა; • საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა; • უცხოური ენების კათედრა; • ესთეტიკური აღზრდის კათედრა; • ფიზიკური აზღრდის კათედრა; თითოეულ კათედრას ჰყავს თავმჯდომარე. კათედრები, რომელშიც გაერთიანებულია შესაბამისი მიმართულების საგნები, საქმიანობას ახორციელებენ კათედრის დებულების შესაბამისად. ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტის დაფარვის მიზნით ყველა კათედრაზე შემუშავებულია თემატური გეგმები, ხოლო მისაღწევი შედეგების შემოწმების მიზნით ტარდება შემაჯამებელი წერები, რომელსაც თან ახლავს მასწავლებელთა მიერ განხორციელებული ანალიზებიც. სკოლა ყველა საგანთან მიმართებაში იყენებს როგორც კომპლექსურ დავალებებს ახალი სკოლის მოდელის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შემაჯამებელ დავალებებს დახურული, ღია და ნახევრად ღია ტიპის დავალებებით. თემატური გეგმების შესწავლისას დადგინდა, რომ რამდენიმე საგანში (მათემატიკა I კლასი, ფიზიკა მე-9კლ, ქართულიმე-6 კლ.) პედაგოგების მიერ საგნის შედეგები მოცემული იყო ძველი ინდექსებით. ამის თაობაზე ექსპერტების მიერ დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაცია საგნის შედეგების აღწერაში გამოყენებულ იქნას განახლებული ინდექსები. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა დაკორექტირებული ვარიანტი. წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმებიდან ჩანს, რომ მოსწავლეთა შედეგების გაანალიზება ხდება როგორც ცალკეული შემაჯამებლის ფარგლებში, ასევე სემესტრის დონეზეც, იდენტიფიცირებულია პრობლემები და აღნიშნულია პრობლემის გადაჭრის გზები. გასაუბრების დროს სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სწავლების ხარისხის სამსახური მუდმივ კოორდინაციაშია კათედრებთან. სამუშაო შეხვედრებზე განიხილება მიმდინარე სასწავლო პროცესი, აკადემიური შედეგები, ისახება სირთულეთა გადაჭრის გზები და დგება სამომავლო გეგმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას ფაკულტატური და სავალდებულო სახით. ეს შეთავაზება მოხდა სკოლის მოსწავლეთა/მშობლების გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით. სკოლაში ფუნქციონირებს: ლიტერატურული სალონი (V / VI / VII / VIII / IXკლ), რუსული ენის წრე (Iკლ), მათემატიკის წრე (VIII/IXკლ), ქართული მითოლოგიის წრე (II/III/IVკლ), ჭადრაკის წრე (V / VI კლ). უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიამდე სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა წრეების (ფასიანი/უფასო) მრავალფეროვან არჩევანს, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევდა, შეეძინათ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. პანდემიის მიუხედავად სკოლაში მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა შიდა სასკოლო თუ რეგიონალურ ღონისძიებებში, მონაწილეობენ სხვადასხვა კონკურსებში. ✓ სკოლაში ჩატარდა უკრაინა-კიევის თანამეგობრობაზე კვირეული, რომლის ფარგლებში ომის პირობებში კიევის გაძლიერებულ ინგლისურენოვან საჯარო N173-ე სკოლასთან ერთად ჩატარდა ერთობლივი გაკვეთილი; ✓ დედაენის დღის აღსანიშნავად გაიმართა კალიგრაფიის კონკურსი და გამოვლინდა გამრჯვებული; ✓ სიმონ ჯანაშიას სახელობის ეროვნული მუზეუმში ჩატარდა ისტორიისა და ინგლისური ენის ინტეგრირებული გაკვეთილი და გაიმართა მნიშვნელოვან წყაროებზე დაყრდნობით საინტერესო დისკუსია; ✓ გაეროს ბავშვთა ფონდისა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პარტნიორობით განხორციელებულ პროექტში აქტიურად არის ჩართული სკოლა აკადემოსი. პროექტის მიზანია მოზარდებში კორონავირუსის გავრცელების პრევენცია ჰიგიენის ხელშემწყობი ღონისძიებების ჩატარების გზით. ასევე, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და პოპულარიზაცია; ✓ სკოლაში დაარსებულ ტელევიზიაში (,,ჩვენი ხმა“) მოსწავლეები აწყობენ აქტუალურ თემებზე გადაცემებს ქართულ და ინგლისე ენებზე სხვადასხვა აქტუალურ თემებზე: ეკოლოგიური პრობლემები; სასკოლო კლუბები. დისტანციური სწავლების დადებითი და უარყოფითი მხარეები და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	✓ სკოლა აქტიურად არის ჩართული სულაკაურის გამომცემლობის პროექტში-,,ყველაზე წიგნიერი“, რომლის მეორე ტურში გადავიდა 2 მოსწავლე; ✓ ინოვაციური განათლების ასოციაციის შემოთავაზებით საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ დასწრებოდნენ ჰარვარდის, სტენფორდის ლექციებს, უორქშოფებს და სხვადასხვა ღონისძიებებს, რომელიც STEM განათლებას მოიცავდა. იანვარში მე-11 კლასელმა, რომელმაც დისტანციურად გაიარა კომპიუტერული მეცნიერების კურსი, მიიღო სერტიფიკატი. ლექციებს ჰარვარდის მემორიალური დარბაზიდან პროფესორი დევიდ მალანი კითხულობდა. მეორე კურსი არის IBM და MIT კურსი კვანტური კომპიუტერის პროგრამირებაზე, რომლის სერტიფიკატი აკრედიტებულია ამერიკულ უნივერსიტეტებში; ✓ სკოლა აკადემოსის მოსწავლეები ფინალისტები გახდნენ ინგლისურენოვან ინტელექტუალური თამაშში ,,ქვიდიჩი“ (Quidditch); ✓ ინტელექტუალურ თამაშში -,,ეტალონი ''(II ტური)ოქროს სიგელი დაიმსახურა 3 მოსწავლემ; ✓ სკოლას ჰყავს კინგსის ოლიმპიადაში გამარჯვებული ოქროს მედალოსნები; ✓ სხვადასხვა საგანში მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ეროვნულ ოლიმპიადაში; სასკოლო ღონისძიებების და პროექტების განხორციელებაში აქტიურადაა ჩართული მოსწავლეთა თვითმმართველობა, მათი ინიცირებით სკოლაში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: ✓ შიდასასკოლო ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში; ✓ ტურნირი ჭადრაკში; ✓ აღინიშნა დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე; ✓ სკოლის ბიბლიოთეკის პოპულარიზაციის მიზნით აღადგინეს „წიგნის კლუბი“ სამივე საფეხურის მოსწავლეთა მონაწილეობით; ✓ დედის დღესთან დაკავშირებით მომზადდა სატელევიზიო სიუჟეტი; ✓ განახორციელდა ღონისძიებები დედამიწის დღესთან დაკავშირებით; აღნიშნულიდან ჩანს, რომ სასკოლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ,,შპს ,,აკადემოსის“ კათედრის დებულების დამტკიცების შესახებ“ შპს ,,აკადემოსის“ დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის N2-95-21 ბრძანება; • ,,შპს ,,აკადემოსის“ პედაგოგიური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ შპს ,,აკადემოსის“ დირექტორის 2021 წლის 1 ივლისის N2-47-21 ბრძანება; • გასაუბრება სკოლის დირექტორთან, კათედრის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან; • საგნობრივი კათედრების სამუშაო გეგმები; • მასწავლებლების მიერ დაგეგმილი შემაჯამებელი დავალებები; • შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები; • საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები; • მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრება; • სკოლის ვებგვერდი; • სკოლის სოციალური გვერდი.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,აკადემოსის“ მოსწავლეები უზრუნველყოფილები არიან განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით, რაც დასტურდება წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმით, მშობლებთან ინტერვიურებით. სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების პროგრამა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპების შესახებ; სსსმ მოსწავლის შესახებ განმარტებას; სკოლაში მიღების და გარემოს მოწყობის წესებს; სკოლის მიერ სსსმ მოსწავლის გამოვლენის ინსტრუმენტებს; მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველადი მართვის მექანიზმებს; სსსმ მოსწავლის აკადემიურ შეფასებას, გაცდენებს, შინსწავლებას; ინკლუზიური განათლების მართვაში ჩართული პირების ვალდებულებებს და ისგ-ს ნიმუშს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, სკოლას შემუშავებული აქვს როგორც ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, ასევე ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი. სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი, რომელიც თვალყურს ადევნებს აღსაზრდელების ასაკობრივ-ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, რისთვისაც ატარებს სათანადო მუშაობას მოსწავლეებთან, მშობლებთან, პედაგოგებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ,,შპს ,,აკადემოსის“ სასკოლოს საწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს ,,აკადემოსის“ დირექტორის 2021 წლის 3 სექტემბრის N2-57-21 ბრძანება; • ,,შპს ,,აკადემოსში“ სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ინკლუზიური განათლების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ შპს ,,აკადემოსის“ დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის N2-111-21 ბრძანება; • ,,შპს ,,აკადემოსის“ ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების დამტკიცების შესახებ“ შპს ,,აკადემოსის“ დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის N2-99-21 ბრძანება; • ,,შპს ,,აკადემოსის“ ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს ,,აკადემოსის“ დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის N2-117-21 ბრძანება; • ,,შპს ,,აკადემოსის“ მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის, ფინანსური დავალიანების მქონე მოსწავლის სტატუსის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ,,აკადემოსის“ დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის N2-116-21 ბრძანება; • ფსიქოლოგის ანგარიში; • ინტერვიურება მშობლებთან; • გასაუბრება ფსიქოლოგთან;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,აკადემოსის“ სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილია მოსწავლეთა შეფასების სისტემა, რომელიც სრულად შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. მოსწავლეთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება; V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. V კლასის II სემესტრიდან XII კლასის ჩათვლით სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში მოსწავლე შეფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა. მოსწავლის შეფასების კომპონენტები, განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები, ქულების გამოანგარიშების წესი, კლასისა და საფეხურის დაძლევა, მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება ემთხვევა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შეფასების შესაბამის მიდგომებს: მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესის მიხედვით შეფასების სამივე კომპონენტს (მიმდინარე საშინაო დავალება; მიმდინარე საკლასო დავალება; შემაჯამებელი დავალება) ერთნაირი წონა აქვს. განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა. სკოლამ დამატებით წარმოადგინა მოსწავლეების მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები. წარმოდგენილი მასალების გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ მრავალფეროვან შემაჯამებელ დავალებებს, მათ შორის კომპლექსურს. სკოლას გაწერილი აქვს შემაჯამებელი დავალებების ჩატარებისა და გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესები და პირობები. მოსწავლეებმა გასაუბრების დროს დაადასტურეს აღნიშნული წესების არსებობა. მათთვის წინასწარ ცნობილია შეფასების კრიტერიუმები, რომლითაც ფასდება შემაჯამებელი დავალებები. შეფასების კრიტერიუმები გამოკრულია ყველა საკლასო ოთახში. სკოლაში არის ხუთდონიანი და ათქულიანი შეფასების სისტემა. კლასისა და საფეხურის დაძლევის ბარიერი 5,0 ქულაა. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სემესტრული, საშემოდგომო და ექსტერნის გამოცდები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლაში ასევე ტარდება გასაუბრება როგორც პირველკლასელთა მიღებისას, ასევე ახალ გადმოსულ მოსწავლეებთან, რაც ემსახურება მოსწავლეთა საჭიროებების დადგენას და ამის საფუძველზე მათთან სამუშაოდ შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას სასწავლო პროცესში წარმატებული ადაპტირებისთვის. სასკოლო სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი(მათ შორის შეფასების კრიტერიუმებიც) გასაცნობად წარედგინებათ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს (გარდა სსსმ მოსწავლისათვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა) სასწავლო წლის დაწყებიდან 1 კვირის ვადაში, კლასის დამრიგებლის მეშვეობით კლასის კრებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; • შეფასების რუბრიკები კათედრების მიხედვით; • მოსწავლის მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები; • შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების ნიმუშები; • შემაჯამებელი დავალებების ანალიზები; • ინტერვიურება მოსწავლეებთან; • ინტერვიურება მშობლებთან; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში მშობელთან ურთიერთობა რეგულირდება მშობელთან ურთიერთობის დებულების მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის N2-98-21 ბრძანებით. დებულების მიზანია მშობლების დროული ინფორმირება მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასა და სოციალურ, ემოციურ თუ ინტელექტუალურ განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებების თაობაზე. დებულების მიხედვით განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები; მშობლის სკოლაში გამოცხადების წესი. მშობლის ინფორმირების მიზნით სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი, რომლის საშუალებითაც მშობელს ნებისმიერ დროს შეუძლია გაეცნოს შვილის აკადემიურ მოსწრებას, გაცდენებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მიცემულ საშინაო დავალებებს, დამატებითი კითხვების შემთხვევაში ჰქონდეს კონკრეტულ მასწავლებელთან კომუნიკაცია. კლასის დამრიგებელ-კოორდინატორი წინასწარ განსაზღვრული კომუნიკაციის ფორმის შესაბამისად ინტენსიურად ეკონტაქტება მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს, საჭიროების შეთხვევაში დახმარებას უწევს მშობელს კონკრეტულ მასწავლებელთან შეხვედრის ორგანიზებაში ან პირიქით. მოსწავლის შესახებ მშობლებთან კომუნიკაცია და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმირება ხდება: • მშობელთა კრებაზე (ზოგადი მიმოხილვა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვით); • Messenger-ის, Zoom-ის პლატფორმის მეშვეობით ონლაინ ფორმატში; • ელექტრონული ჟურნალების მეშვეობით; • ყოველდღიური კომენტარებით I-IV კლასებში და V კლასის I სემესტრში; • მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს; • ელექტრონული ფოსტით და ტელეფონით; • SMS შეტყობინებით; • სოციალურ ქსელის მეშვეობით, სადაც მშობლებისათვის შექმნილია თითოეული კლასის დახურული ჯგუფი, ყოველდღიურად თავსდება მათთვის საინტერესო სხვადასხვა აქტუალური საკითხები (გარდა აკადემიური მოსწრებისა). მშობლებთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ ისინი მოსწავლის შესახებ ინტენსიურად იღებენ კომენტარებს საგნობრივი პედაგოგებისგანაც. ინტერვიურებითა და დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლის მიერ შემუშავებული მშობელთან ურთიერთბის დებულების თანახმად, მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მშობელთან ურთიერთობის დებულება; • მშობლებთან და მასწავლებლებთან ინტერვიურება;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	,,შპს ,,აკადემოსის“ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ დამტკიცებულია შპს ,,აკადემოსის“ დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის N2-109-21 ბრძანებით, რითაც რეგულირდება სასკოლო სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება და შემდგომმი გაუმჯობესება. აღნიშნული წესი განსაზღვრავს დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს და მიზნად ისახავს სკოლის განვითარების ხარისხის მუდმივ მონიტორინგს და შეფასებას. სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“. ამ ეტაპების გათვალისწინებით, სკოლაში ინტესნიურად ხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორნგი, გაკვეთილზე ურთიერთდასწრება, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების, თითოეულ კათედრაზე ხორციელდება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ანალიზი და გამოვლენილი ხარვეზის გასაუმჯობესებლად ერთობლივად ხდება ახალი სასწავლო წლისთვის შესაბამისი ინტერვენციის დაგეგმვა. სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლამ მათ შესთავაზა უფასოდ დამატებით ინგლისურის, მათემატიკის წრე, რამაც ხელი შეუწყო სასწავლო დანაკარგის შევსებას. გარდა ამისა, გამომდინარე იქიდან, რომ მეორე ენის შესწავლას მოსწავლეები იწყებენ მეორე კლასიდან, მათ სკოლა სთავაზობს პირველი კლასის მეორე სემესტრიდან რუსული ენის წრეს, რომელიც ძირითადად ზეპირმეტყველების განვითარებაზეა ორიენტირებული. სწავლა/სწავლების ხარისხის მონიტორინგისა და გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება მშობელთა, მოსწავლეთა, პედაგოგთა გამოკითხვა შესაბამისი კითხვარების მეშვეობით (ყოველი სემესტრის დასრულებისას) და გაკვეთილების შეფასების ანალიზი. მონიტორინგის შედეგები განიხილება პედაგოგთა და ადმინისტრაციის შეხვედრებზე ან უკუკავშირი ხორციელდება ინდივიდუალურად. სკოლაში არსებული მონიტორინგის სისტემა საშუალებას იძლევა მოხდეს სასწავლო პროცესის შეფასება და მისი შემდგომი გაუმჯოებესების გეგმის შემუშავება; ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მონაწილეთა საჭიროებების გამოვლენასა და პრობლემის გადაჭრის გზების დასახვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ,,შპს ,,აკადემოსის“ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ შპს ,,აკადემოსის“ დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის N2-109-21 ბრძანება; • ,,შპს ,,აკადემოსის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ შპს ,,აკადემოსის“ დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის N2-112-21 ბრძანება; • ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა; • კათედრის სხდომის ოქმები; • მასწავლებელთა ურთერთდასწრების ბარათები; • მშობელთა, მოსწავლეთა კითხვარები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	**შპს „აკადემოსი“** მდებარეობს ქ. თბილისში, დიღმის მასივი, გ. ტერევერკოს #24. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ამ ფართზე განთავსებულია ერთი, ორ სართულიანი, შენობა-ნაგებობა. საერთო ფართი შეადგენს 1990 კვ.მ. სკოლის შენობა 2 სართულიანია. 1 სართული განკუთვნილია დაწყებითი კლასებისთვის; 6 საკლასო ოთახია, მცირე დარბაზი, ფსიქოლოგის ოთახი, დაცვის სამსახურის ოთახი, სამედიცინო კაბინეტი, დირექტორის კაბინეტი, სასადილო, სამზარეულო, ფსიქოლოგის კაბინეტი, საიზოლაციო ოთახი, 3 სველი წერტილი, მათ შორის ერთი სსსმ მოსწავლისთვის განკუთვნილი. მე-2 სართულზე განთავსებულია საბაზო და საშუალო კლასის მოსწავლეებისთვის 6 საკლასო ოთახი, 1 საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა შესაბამისი წიგნადი ფონდით და ინტერნეტში ჩართული 9 კომპიუტერით. იგი გამოიყენება ასევე ისტ-ის კაბინეტის დანიშნულებითაც; საპირფარეშოები გოგონებისთვის და ვაჟებისთვის. ეზოში მოწყობილია სარეკრიაციო, დასასვენებელი ზონა მოსწავლეებისთვის, რომელიც ასევე გამოიყენება თავისუფალი გაკვეთილების ჩასატარებლად. ეზოში მოწყობილია ღია სპორტული მოედანი.
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისში, დიღმის მასივი, გ. ტერევერკოს #24.
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	01.13.01.018.298
კვ.მ.	დაზუსტებული ფართობი - 1990 კვ.მ,
მტკიცებულებები/ინდიკატორები	❖ სკოლის შენობის გენერალური გეგმით; ❖ ამონაწერით საჯარო რეესტრიდან.
შეფასება	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სულ სკოლაში 12 კლასია, შესაბამისად 12 საკლასო ოთახი და კიდევ 1 ოთახი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის. სკოლის საკუთრებაშია 200-მდე ინდივიდუალური მერხი და სკამი, სასკოლო დაფები, მოსწავლეების ინდივიდუალური კარადები და სხვადასხვა საჭირო სასკოლო ინვენტარი. საგნობრივ კათედრებს გააჩნია სათანადო საგანმანათლებლო რესურსები. მერხები და სკამები აკმაყოფილებს ასაკობრივი ჯგუფების მოთხოვნებს. ყველა საკლასო ოთახი კეთილმოწყობილია, დაცულია უსაფრთხოებისა და სანიტარული ნორმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	❖ ვიზუალური დათვალიერება; ❖ სასაქონლო ზედნადებები; ❖ საინვენტარო ბარათები; ❖ მიღება- ჩაბარების აქტები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ღია, ხელოვნურსაფარიანი, სტანდარტული სპორტული მოედანი (სიგრძე - 24მ., სიგანე - 12მ.). ასევე დახურული მცირე დარბაზი, რომელიც გამოიყენება ასევე შემოქმედებითი საქმიანობის დანიშნულებითაც. მცირე დახურულ დარბაზში განთავსებულია მოძრავი მაგიდის ჩოგბურთის ინვენტარი, ფორტეპიანო და სხვადასხვა აღჭურვილობა. პირველ სართულზე მოწყობილია ოთახები, რომელსაც აქვს გასახდელის დანიშნულება. სკოლას აქვს კალათბურთის, ფრენბურთის, ფეხბურთის ბურთები, ჭადრაკის დაფები და კომპლექტები, ბადეები და სხვა სპორტული ინვენტარი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	❖ ვიზუალური დათვალიერება; ❖ სკოლის შენობის გენერალური გეგმა; ❖ ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობის მე-2 სართულზე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაა განთავსებული. იგი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. ლაბორატორიაში დგას გამწოვი კარადა, სადემონსტრაციო მაგიდა. შექმნილია უსაფრთხო გარემო სხვადასხვა სასწავლო აქტივობის ჩასატარებლად. დაცულია ლაბორატორიული ინვენტარის და ქიმიკატების შენახვის წესები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	❖ ვიზუალური დათვალიერება; ❖ სასაქონლო ზედნადებები; ❖ ლაბორატორიის შესყიდვის დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას გააჩნია ელექტროენერგიის, ინტერნეტის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობა. ყველა სართულზე განთავსებულია სათანადოდ აღჭურვილი სველი წერტილი; სკოლაში ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. ყველა საკლასო ოთახში და კაბინეტებში დამონტაჟებულია ელექტრონათურები დღის განათების ეფექტით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	❖ ვიზუალური დათვალიერება; ❖ ინტერნეტის, ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის გადახდის ქვითრები; ❖ სასაქონლო ზედნადებები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მე-2 სართულზე არის 8 კომპიუტერითა და 2 პრინტერით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, სადაც წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმისა და საგნობრივი პროგრამების შესაბამისი წიგნადი ფონდი, რომელიც შინაარსობრივად მრავალფეროვანია და სახელმძღვანელოების გარდა მოიცავს: მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურას. ბიბლიოთეკაში არის წიგნადი ფონდის საინვენტარო წიგნი, ანბანური კატალოგი, გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, სამუშაო საათები. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია ხელშეკრულება. დებულებით განსაზღვრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკაში სამივე საფეხურის ყველა საგნის გრიფირებული სახელმძღვანელოები წარმოდგენილია სრულად. სულ ბიბლიოთეკაში არის 2900 ერთეული, მათ შორის ყველა კლასის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. ბიბლიოთეკაში არის მხატვრული ლიტერატურა ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. ბიბლიოთეკაში არის მხატვრული და სამეცნიერო პერიოდიკა, ჟურნალები. ლიტერატურა და თვალსაჩინოება ხელმისაწვდომია პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის. შექმნილია მოსწავლეებისა და თანამშრომლების საბარათე სისტემა, სისტემური კატალოგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	❖ ვიზუალური დათვალიერება; ❖ შრომითი ხელშეკრულებები ბიბლიოთეკარებთან; ❖ ბიბლიოთეკის დებულება; ❖ ბიბლიოთეკის კატალოგი; ❖ წიგნების შესყიდვების დოკუმენტაცია; ❖ მიღება–ჩაბარების აქტები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის. ასევე აქვს საჭიროების შემთხვევაში მოძრავი, გასაშლელი რკინის პანდუსები მეორე სართულზე გადასაადგილებლად. შშმ პირებისთვის სკოლის პირველ სართულზე მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმისა და ფსიქოლოგის კაბინეტები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	❖ ვიზუალური დათვალიერება; ❖ სასაქონლო ზედნადებები; ❖ საბუღალტრო დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ინტერნეტქსელში ჩართული 10 კომპიუტერი, 3 ლეპტოპი. პრინტერი -2 ცალი. ყველა საკლასო ოთახი და კაბინეტი აღჭურვილია სათანადო რაოდენობის ინვენტარით (მერხი, სკამი, მასწავლებლის მაგიდა, დაფა). სკოლის ვებგვერდი - http://www.akademos.ge - ასრულებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია სკოლის მისია, მიზნები, სტრუქტურა, მოცემულია ინფორმაცია კათედრების, პედაგოგების, მოსწავლეების შესახებ, ორგანიზებულია სიახლეებისა და განხორციელებული პროექტების სივრცე. ხელმისაწვდომია სიახლეები და აუცილებელი საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლას აქვს ელ-ფოსტა skolaakademos@gmail.com, აქტიური ფეისბუქ გვერდი . დაწესებულება იყენებს ელექტრონულ ჟურნალს ,,TV SCHOOL”. სკოლაში არის Wi Fi.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	❖ ინტერნეტ პროვაიდერთან დადებული ხელშეკრულება; ❖ გადახდის დამადასტურებელი ქვითრები; ❖ სკოლის ვებ გვერდი http://www.akademos.ge; ❖ ვიზუალური დათვალიერება; ❖ ტექნიკური საშუალებების შეძენის დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ორივე სართულზე დამონტაჟებულია ხანძრის (კვამლის) აღმოჩენის დეტექტორები. ყველა სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები, გამოკრულია მათი სარგებლობის წესები. არსებობს სახანძრო სტენდი და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. სკოლას შემუშავებული აქვს „საგანგებო სიტუაციების მართვისა და საგანგებო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მდგომარეობაზე რეაგირების გეგმა“ სადაც გაწერილია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების შეფასება, ობიექტის დახასიათება, პერსონალის სწავლება, ხანძრისა და ბუნებრივი აირის გაჟონვის დროს, ხანძრის დროს ევაკუაციის უზრუნველმყოფი პერსონალის მოქმედების გეგმა და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	❖ ვიზუალური დათვალიერება; ❖ საგანგებო სიტუაციების მართვისა და საგანგებო მდგომარეობაზე რეაგირების გეგმა.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობების ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილზე, გამოკრულია ევაკუაციის გეგმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	❖ ვიზუალური დათვალიერება; ❖ საბუღალტრო დოკუმენტაცია.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას გააჩნია სამედიცინო დახმარების კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა აუცილებელი პირველადი დახმარების სამედიცინო ინვენტარით, შესაბამისი წამლებით. მ/წ 21 მარტს მიღებულ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ. საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/ სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/ სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ. სკოლა სრულად აკმაყოფილებდა ამ ბრძანების მოთხოვნებს, ჰყავდა ლიცენზირებული ერთი ექიმი, რომელიც პასუხისმგებელია: მოსწავლეთა მიმართვიანობის შემთხვევაში (ან/და სხვა ფაქტორებით გამოწვეულ შემთხვევაში) მოსწავლეს გაუწიოს პირველადი სამედიცინო დახმარება მასზე დაკისრებული უფლება- მოვალეობების და უფლებამოსილების ფარგლებში, სკოლის შენობაში განახორციელოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მონიტორინგი და კონტროლი, დროულად მოახსენოს სკოლის დირექციას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის შესახებ ინფორმაცია. თუმცა ექიმს, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების კონტროლის აღრიცხვა არ ჰქონდა ნაწარმოები. ეს ფუნქცია შეთავსებული ჰქონდა სკოლის ტექნიკურ მენეჯერს (მნე-ს). ასევე ექიმს არ ჰქონდა განხორციელებული მოსწავლეთა მომართვიანობის ანალიზი. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობაში მოეყვანა სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის საქმიანობები და მეტი ყურადღება გაემახვილებინათ ანალიზზე, კერძოდ დაემუშავებინათ ავადობის სტატისტიკა და სხვა მაჩვენებლები, რომელიც ხელს შეუწყობს დაგეგმვის ეტაპზე უფრო ნათლად განსაზღვრონ უსაფრთხო გარემოს შექმნის სტრატეგიები.** აღნიშნული რეკომენდაცია სკოლამ გაითვალისწინა ვიზიტის პერიოდში და არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას მოგვაწოდა ექიმის მიერ დამუშავებული და გაანალიზებული ავადობის სტატისტიკა და სხვა მაცვენებლები. ასევე ექმინის მიერ განხორციელებული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების აღრიცხვის ამსახველი მასალა. სკოლის სამედიცინო კაბინეტი აკმაყოფილებს ბრძანებით მოთხოვნილ სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობას. აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	❖ ვიზუალური დათვალიერება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	❖ საბუღალტრო დოკუმენტაცია; ❖ წამლების შესყიდვის დოკუმენტაცია; ❖ გასაუბრება მოქმედ ექიმთან.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში განსაზღვრულია უფლებამოსილი პირი, რომელიც პასუხისმგებელია სკოლაში უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე. სკოლას აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები. აქვს საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გეგმა. სკოლა ახორციელებს ძალადობის რისკების შეფასებას მოსწავლეებში და მასწავლებლებში სხვადასხვა სახის კითხვარების გამოყენებით. შედეგების მიხედვით ხდება ძალადობის რისკების შემცირებისთვის სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა. სკოლა დამრიგებლების მეშვეობით დამრიგებლის საათზე უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, ასევე, სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობას ყველა მოსწავლისათვის. ფსიქოლოგი მუშაობს მოსწავლეებთან დისკრიმინაციის წინააღმდეგ; ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ; ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. აღნიშნულ კამპანიაში აქტიურად არიან ჩართული დამრიგებლები, რომლებიც სხვადასხვა აქტივობებით და ღონისძიებების ორგანიზებით უზრუნველყოფენ აღნიშნული ინფორმაციის მიწოდებას მოსწავლეთათვის; სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი აღჭურვილია ვიდეოთვალთვალის სისტემით. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების საკომუნიკაციო (112) ნომერი
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	❖ **შპს „აკადემოსის“** დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის N 2-92-21 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	❖ **შპს „აკადემოსის“** დირექტორის 2020 წლის 14 ნოემბრის N2-97-20 ბრძანებით დამტკიცებული შპს „აკადემოსის“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების პროექტი დამტკიცებისა და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლბამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს მოთხოვნის შესაბამისი უსაფრთხოების კამერები, სულ 17 ცალი (11 - შიდა კამერა და 6 - გარე), უზრუნველყოფილია გარე და შიდა პერიმეტრის კონტროლი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრული წესების შესაბამისად. დასვენების პროცესში მოსწავლეებზე მეთვალყურეობას ახორციელებს კლასის დამრიგებელი. მიუხედავად ამისა, გარე პერიმეტრზე მაინც არის უკონტროლოდ დარჩენილი ტერიტორია. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ დაემატებინა გარე პერიმეტრის გასაკონტროლებლად 3 კამერა. ჩვენი ვიზიტის პერიოდში სკოლამ გააფორმა ხელშეკრულება შესაბამის უწყებასთან კამერების შესყიდვისა და დამონტჟებისთვის, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენიასა მოგვაწოდა უკვე დამონატაჟებული ვიდეო კამერების ამსახველი ფოტო მასალა და შესყიდვის დოკუმენტაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	❖ ვიზუალური დათვალიერება; ❖ შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	**შპს „აკადემოსს“** შემუშავებული აქვს საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი დოკუმენტები: **შპს „აკადემოსის“ (ადრეული სახელწოდება „კაი ყმა“)** წესდება, შინაგანაწესი, დებულება, სტრატეგიული განვითარების გეგმა და მეთოდოლოგია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და სხვა. **შპს „აკადემოსის“** წესდებით რეგულირდება საზოგადოების საქმიანობის ძირითადი სფერო; საზოგადოების მართვის ძირითადი პრინციპები; დირექტორის ფუნქცია-მოვალეობები; საზოგადოების რეორგანიზაციისა და საქმიანობის შეწყვეტის პირობები. სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელიც განმარტავს სკოლის სტრუქტურას, არეგულირებს სკოლის საქმიანობას, იურიდიულ სტატუსს, წევრებს შორის ურთიერთობებს, განსაზღვრავს თითოეული მათგანის უფლება-მოვალეობებს და ადგენს სკოლის მართვის ძირითად პრინციპებს, წახალისებისა და სანქცირების მექანიზმებს; თანამშრომელთა სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების წესებს; სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, სამუშაო და დასვენების დროს; სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმებს; შვებულების ხანგრძლივობასა და მიცემის წესს; შრომითი ურთიერთობის წარმოშობის, შეწყვეტა/საბოლოო ანგარიშსწორების პირობებს; დასაქმებულის წახალისების ფორმებსა და დისციპლინურ პასუხისმგებლობებს; მოსწავლეების წახალისების ფორმებსა და დისციპლინური წარმოების თავისებურებებს; სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის და სკოლიდან გადაყვანის პირობებს; ადმინისტრაციის მშობლებთან ურთიერთობის წესებს, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგად ინსტრუქციებს და სხვა. შინაგანაწესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დამტკიცებულია **შპს „აკადემოსის“** დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის N 2-92-21 ბრძანებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	❖ **შპს „აკადემოსის“** დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის N 2-92-21 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი; ❖ შპს „კაი ყმა“ წესდებით ❖ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2020 წლის 17 თებერვალს გაცემული #500 11 სახელის შეცვლის დოკუმენტით.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (2022 -2028 წწ) და ერთწლიანი (2021 – 2022 წწ) სამოქმედო გეგმები, სადაც სკოლის მიზნებიდან გამომდინარე გაწერილია სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანები, გათვალისწინებულია მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმები; სკოლაში ახალი პროგრამების დანერგვის შესაძლებლობები; სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმები. სტრატეგიულ გეგმაში 7 სტრატეგიული მიმართულებაა: • სკოლის დოკუმენტაციის შემუშავება, სკოლის ორგანიზაციული განვითარება; • სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება/გაუმჯობესება; • ადამიანური რესურსის განვითარება; • მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; • უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; • მშობელთა ჩართულობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ორგანიზაციული განვითარება. თითოეული სტრატეგიული მიმართულება ჩაშლილია ამოცანებად და განსაზღვრულია განხორციელების პერიოდი. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ხდება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანალიზი, რომლის საფუძველზე და სტრატეგიული გეგმის შესაბამისად ხორციელდება ახალი სასწავლო წლისთვის სამოქმედო გეგმის შემუშავება. სამოქმედო გეგმაში აღწერილია ძირითადი ოპერაციული და მატერიალური ღონისძიებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	❖ შპს „აკადემოსის“ დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის N 2-113-21 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის განვითარების გრძელვადიანი (2022 -2028 წწ) სამოქმედო გეგმა; ❖ შპს „აკადემოსის“ დირექტორის 2021 წლის 3 სექტემბრის N 2-62-21 ნრძანებით დამტკიცებული სკოლის განვითარების ერთწლიანი (2021 – 2022 წწ) სამოქმედო გეგმა; ❖ SWOT ანალიზი; ❖ შპს „აკადემოსის“ დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის N2-106-21 ბრძანებით დამტკიცებული შპს ,,აკადემოსის'' სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არსებობს გამოცემული ბრძანებების, შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები. გამოცემული აქტების, შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაცია და აღრიცხვა მიმდინარეობს სკოლის კანცელარიაში. ყველა აღნიშნული დოკუმენტი ინახება დედანის სახით. საქმისწარმოება მიმდინარეობს საქმის წარმოების წესის მიხედვით, რომელიც ვრცელდება დოკუმენტაციის ყველა სახეზე. კერძოდ: სპეციალურ ჟურნალებში აღირიცხება თითოეული შემოსული და გასული კორესპონდენცია; რეგისტრაციაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ტარდება ყველა გამოცემული აქტი, რომლებსაც მიმართულება ეძლევა სასწავლებლის დირექტორის რეზოლუციის შესაბამისად; ბრძანებები, შემოსული და გასული კორესპონდენციები აღირიცხება კალენდარული წლების მიხედვით; ყველა ჟურნალი არის დამუშავებული: დანომრილი, ზონარგაყრილი და ბეჭდით დამოწმებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	❖ ბრძანებების, შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები; ❖ გატარების ნომრიანი დოკუმენტები და კორესპონდენცია; ❖ მასალები, რომლებიც ინახება კანცელარიაში; ❖ საქმის წარმოების პროცედურა.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს აკადემოსს სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის ჰყავს შესაბამისი აკადემიურ-ტექნიკური პერსონალი. სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 23 პედაგოგთან, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საათობრივი ბადის სრულად დატვირთვას. გარდა ამისა, სკოლას ჰყავს დირექტორი, დირექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ დარგში, დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ხელმძღვანელი, საქმის მწარმოებელი, ფინანსური მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, ფსიქოლოგი, ექიმი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, იურისტი, სამეურნეო მენეჯერი, მზარეული, ჭურჭლის მრეცხავი, დამლაგებელი, წრის 2 ხელმძღვანელი, გახანგრძლივებულის მასწავლებელი. ყველასთან გაფორმებულია ხელშეკრულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხელშეკრულებები და პირადი საქმეები; • eSchool-ის ბაზა; • შინაგანაწესი; • 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; • საშტატო განრიგი.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	**23**
მოწვეული/მაძიებელი	**1/2**
პრაქტიკოსი მასწავლებლი	**3 (უსტატუსო)**
უფროსი მასწავლებლი	**14**
წამყვანი მასწავლებლი	**3**
მენტორის სტატუსი	**0**

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	წარმოდგენილ მასწავლებელთა პირად საქმეებში დევს დოკუმენტაცია მათი კვალიფიკაციისა და/ან მინიჭებული სტატუსების შესახებ. აგრეთვე ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის“. თუმცა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სპორტის მასწავლებლის, რომელიც ამავდროულად არის ინგლისურის მასწავლებელია, პირად საქმეში არ იყო სპორტის გამოცდის წარმატებით ჩაბარების ცნობა. სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის დროს, დაწესებულებამ განცხადებით მიმართა სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს აღნიშნული მასწავლებელის საგამოცდო შედეგების დამადასტურებელი ცნობის მოთხოვნის შესახებ. აქვე აღსანიშნავია, რომ escool-ის ბაზაში მასწავლებელს უფიქსირდებოდა სპორტის გამოცდის წარმატებით ჩაბარების დასტური (10 კრედიტი). ასევე რამდენიმე მასწავლებელს პირად საქმეში არ ჰქონდა შინაგანაწესით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი, თუმცა დაწესებულებამ ექსპერტთა ვიზიტის დასრულებამდე წარმოადგინა კონკრეტული მასწავლებლების სრულყოფილი პირადი საქმე. სკოლას ჰყავს 3 მასწავლებელი სტატუსის გარეშე, თუმცა მათ ხელშეკრულების თანახმად აქვთ ვალდებულება 2023 წლამდე ჩააბარონ მასწავლებლის საკვალიფიკაციო გამოცდები. აღნიშნული პირადი საქმეებისა და სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების გადამოწმების მიხედვით სკოლას სხვადასხვა სტატუსის მასწავლებლების შერჩეული ჰყავს კანონმდებლობის შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებლების პირადი საქმეები; • შინაგანაწესი; • eSchool-ის ბაზა; • 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	,,შპს ,,აკადემოსის“ შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ შპს ,,აკადემოსის“ დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის N2-92-21 ბრძანებით განსაზღვრულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების სისტემა. ბრძანებით განსაზღვრულია შრომითი ურთიერთობის წარმოშობა /პირობები და შეწყვეტის პროცედურები. შინაგანაწესში დაკონკრეტებულია: სკოლაში მასწავლებლის/თანამშრომლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მიღების და სამსახურეობრივი შეთავსების პირობები; სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება, გამოუცხადებლობის შეტყობინების ღონისძიებები; დასაქმებულთა წახალისების ფორმები და გამოყენების წესი; დისციპლინური დევნა; დასაქმებულის მიერ დისციპლინური გადაცდომისა და პასუხისმგებლობის სახეები; დასაქმებულთა დისციპლინური გადაცდომების განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოები და დისციპლინური წარმოების დაწყება; საქმის გარემოებათა გამოკვლევა; დისციპლინური სახდელის დაკისრება/უარი დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე და დისციპლინური სახდელის შეფარდების დაუშვებლობა; დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა და მოქმედების ვადა. ტექსტების შინაარსი აღწერითია და დაკონკრეტებულია თითოეული შემთხვევა, რეაგირების ფორმები და ვადები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ,,შპს ,,აკადემოსის“ შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ შპს ,,აკადემოსის“ დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის N2-92-21 ბრძანება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	,,შპს ,,აკადემოსის“ შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ შპს ,,აკადემოსის“ დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის N2-92-21 ბრძანებით განსაზღვრულია შრომის ანაზღაურების გაცემის, შვებულების ხანგრძლივობის, მიცემის წესის და შრომითი ურთიერთობის შეჩერების პროცედურები; საშტატო განრიგის შესაბამისად სკოლაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ვადიანი ან უვადო შრომითი ხელშეკრულებები. პირადი საქმეებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა 2 საქმისმწარმოებელთან, რომელთაგან ერთ-ერთი რეალურად ასრულებდა ფინანსური მენეჯერის მოვალეობას. ამავდროულად emis-ის ბაზის მიხედვით აღნიშნული პიროვნება ფიქსირდებოდა ფინანსური მენეჯერის პოზიციაზე. ვიზიტის დროს დაწესებულებამ აღნიშნული ტექნიკური შეცდომა გაასწორა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წარმოადგინა დაკორექტირებული ხელშეკრულება ცალკე საქმისმწარმოებელზე და ასევე ფინანასურ მენეჯერზე. მასწავლებლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები სტატუსის მითითებითა და სტატუსის შესაბამისი ფუნქციების აღწერით. სტატუსის გარეშე მყოფ მასწავლებლებთან ხელშეკრულება გაფორმებულია 2023 წლამდე მასწავლებლის საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების ვალდებულებით. ხელშეკრულების შინაარსს წარმოადგენს: ზოგადი დებულებები; ხელშეკრულების საგანი; ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები; ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; სამუშაო ადგილი, სამუშაო დრო და დასვენების დრო; შრომის ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი; სამუშაოს გაცდენა; შეთავსებით სამუშაო; კონკურენციის აკრძალვა; ინტელექტუალური საკუთრების უფლებები; ქონების, საქმიანი რეპუტაციის მოვლისა და გაფრთხილების ვალდებულება; ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი; მხარეთა პასუხისმგებლობის წესი; ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა; ფორსმაჟორი; პერსონალური მონაცემების დამუშავება, გამოყენება და გავრცელება; სხვა პირობები; მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები. სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ,,შპს ,,აკადემოსის“ შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ შპს ,,აკადემოსის“ დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის N2-92-21 ბრძანება; • გაფორმებული ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას მასწავლებლებისა და სხვა ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარებისთვის შემუშავებული აქვს დებულება. ,,შპს ,,აკადემოსის“ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ“ შპს ,,აკადემოსის“ სკოლის დირექტორის 2020 წლის 26 ნოემბრის N2-99-20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ბრძანებით დამტკიცებული დებულების მიხედვით მიმდინარეობს მასწავლებელთა პროფესიული საქმიანობის შეფასება და საჭიროებაზე ორიენტირებული განმავითარებელი აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება. დებულების თანახმად მასწავლებელთა საჭიროებების შესაბამისად შესაძლებელია დაიგეგმოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი სხვადასხვა აქტივობები: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება; სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარება; მასწავლებელთა გადამზადება და ა.შ. სკოლის წარმომადგენლებთან და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა ორიენტირებულია ახალგაზრდა მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე, რისთვისაც სკოლის ბაზაზე ხორციელდება გამოცდილების გაზიარება და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება. პედაგოგებს აქვთ შექმნილი სოციალურ ვებგვერდზე დახურული ჯგუფები, სადაც მუდმივად უზიარებენ ერთმანეთს ინფორმაციას სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო სემინარების, ტრენინგების, ვებინარების შესახებ. სკოლის მასწავლებლები გასაუბრებისას აღწერენ გაკვეთილზე დასწრების პროცედურებს და მასწავლებლის ან კლასის საჭიროების შესაბამის აქტივობებს. გაკვეთილზე დაკვირვების შედეგად მასწავლებელი იღებს განმავითარებელ შეფასებას. მასწავლებლები ინტენსიურად ესწრებიან მასწავლებელთა სახლის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს და ცდილობენ იქ შეძენილი გამოცდილება გადმოიტანონ და დანერგონ საგაკვეთილო პროცესში. სკოლას ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული ილიას უნივერსიტეტთან, რომლის ფარგლებში საჭიროების შემთხვევაში სასკოლო პრაქტიკის ხელმძღვანელ მასწავლებელს უნივერსიტეტი დახმარებას უწევს ინდივიდუალური კონსულტაციებით, ლექციებზე დასწრებით, უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდით სარგებლობის უფლებითა და კურსების ფარგლებში გამოყენებული რესურსების გაზიარებით. სკოლას ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებული აქვს როგორც ადგილობრივ უნივერსიტეტებთან, ასევე - ქვეყნის ფარგლებს გარეთ სკოლებთან (თსუ; საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი; უკრაინის N173-ე სპეციალიზებული სკოლა ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლებით და სხვ.), რაც დასტურდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და სკოლის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციით. გარდა ამისა, სკოლას ,,შპს აკადემოსის“ ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ შპს ,,აკადემოსის“ სკოლის დირექტორის 2022 წლის 20 მაისის N2-43-22 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები. დაწესებულების მიერ აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცების შესახებ ბრძანებაში დაფიქსირდა ტექნიკური უზუსტობა თარიღთან დაკავშირებით და დაწესებულებამ ექსპერტთა მხრიდან მიიღო რჩევა საქმისწარმოების წესის უფრო ყურადღებით განხორციელების თაობაზე. რომელიც სკოლამ გაიზიარა და ექსპერტთა ვიზიტის დასრულებამდე სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო დაკორექტირებული დოკუმენტი კანონმდებლობის შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ,,შპს ,,აკადემოსის“ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ“ შპს აკადემოსის სკოლის დირექტორის 2020 წლის 26 ნოემბრის N2-99-20 ბრძანება; • ,,შპს ,,აკადემოსის“ ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ შპს ,,აკადემოსის“ დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის N2-97-21 ბრძანება; • ,,შპს ,,აკადემოსის“ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ შპს ,,აკადემოსის“ დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის N2-106-21 ბრძანება; • ,,შპს ,,აკადემოსის“ ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ შპს ,,აკადემოსის“ დირექტორის 2022 წლის 20 მაისის N2-44-22 ბრძანება; • გაფორმებული მემომრანდუმები; • გაკვეთილზე დაკვირვებისა და შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია; • სკოლის ვებგვერდი; • სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრება; • პედაგოგებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას. სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობა თანამშრომლობითი ატმოსფეროს შექმნას. მასწავლებელები ამჟღავნებენ ურთიერთპატივისცემას და კეთილგანწყობას როგორც ერთმანეთის, ასევე მოსწავლეების, მშობლების და დირექციის მიმართ. ეს გამოიხატება სასკოლო ღონისძიებებში, რომლის ამსახველი მასალა გამოფენილია სკოლაში, სკოლის ვებგვერდზე. გასაუბრებისას მშობლები აქტიურად საუბრობდნენ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის არსებულ ურთიერთთანამშრომლობით დამოკიდებულებებზე, რაც განსაკუთრებით ადვილი შესამჩნევი გახდა პანდემიის პერიოდში დისტანციური სწავლების დროს. მშობლები მადლიერებით აღნიშნავდნენ იმ გარემოებას, რომ სწავლის დანაკარგების აღმოფხვრისთვის, სკოლამ თავისი ინიციატივით შესთავაზა მოსწავლეებს უფასო წრეები იმ საგნებში, სადაც უფრო მეტად გამოიკვეთა დახმარების საჭიროება. ასევე კმაყოფილებას გამოთქვამდნენ საგნობრივი მასწავლებლებისგან ინფორმაციის მიწოდების სისტემატურობისა და კონკრეტულ საჭიროებაზე თანამშრომლობის შესახებ. სკოლაში ტარდება მშობელთა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა გამოკითხვები. თითოეულ მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი, შეხედულებები. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმართველობა, რომლის ფუნქციონირება ხორციელდება შპს ,,აკადემოსის“ მოსწავლეთა თვითმართველობის დებულების მიხედვით. დებულება დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2021 წლის 31 სექტემბრის N2-72-21 ბრძანებით. თვითმართველობის ინიცირებით ტარდება სხვადასხვა ტიპის სპორტული თუ შემეცნებითი სახის ღონისძიებები. პედაგოგები დიდ წარმატებად ასახელებენ სკოლაში თვითმმართველობის ინიციატივით სასკოლო ტელევიზიის დაარსებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	- „ჩვენი ხმა“, სადაც სამივე საფეხურის მოსწავლეები და მასწავლებლები (ქართულ და ინგლისურ ენაზე) არიან გაერთიანებული და ამზადებენ გადაცემებს სხვადასხვა აქტუალურ თემებზე; თვითმმართველობის ინიციატივით განხორციელდა მოსწავლეებთან შეხვედრა UNICEF-ის პროექტის ფარგლებში (საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები) თემაზე -ჰიგიენა და მისი მნიშვნელობა; ასევე სკოლის ბიბლიოთეკის პოპულარიზაციის მიზნით მოხდა „წიგნის კლუბის“ აღდგენა; საბაზო საფეხურის მოსწავლეების შეჯიბრი მაგიდის ჩოგბურთში, ჩატარდა ჭადრაკის ტურნირი, უორქშოფები: ბავშვთა უფლებები; ბავშვები უკეთესი მომავლისთვის; თვითმართველობის მიერ განხორციელდა ფილმის ჩვენება, რაც ემსახურებოდა სკოლაში პროპაგანდის საფრთხეების შესახებ ცნობიერების ამაღლებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ,,შპს ,,აკადემოსის“ თვითმართველობის დებულების დამტკიცების შესახებ“ შპს ,,აკადემოსის“ დირექტორის 2021 წლის 31 სექტემბრის N2-72-21 ბრძანება; • ,,შპს ,,აკადემოსის“ შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ შპს ,,აკადემოსის“ დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის N2-92-21 ბრძანება; • ,,შპს ,,აკადემოსის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ შპს ,,აკადემოსის“ დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის N2-112-21 ბრძანება; • გაფორმებული ხელშეკრულებები; • სკოლის ვებგვერდი; • სკოლის სოციალური გვერდი; • გასაუბრება მოსწავლეებთან; • გასაუბრება მშობლებთან; • გასაუბრება პედაგოგებთან; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რჩევები:	
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

.....თბილისი..... .....14/06/2022 წ.....

(შევსების ადგილი) თარიღი
გვერდების რაოდენობა .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.